ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	070407

ქვეპროგრამის დასახელება:

სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	270 000
სულ ბიუჯეტი:	270 000

ქვეპროგრამის მიზანი:

საექიმო კადრების სოფლებში დამაგრება და მათი სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის ბაზისური, უწყვეტი სამედიცინო მომსახურებისათვის სოფლის ექიმების მატერიალური სტიმულირება მათთვის ხელფასის დანამატის დანიშვნით, მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექიმებისათვის – 300 ლარი, ხელვაჩაურის და ქობულეთის სოფლის ექიმებისათვის – 150 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში, განსაკუთრებით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებული ექიმების დეფიციტისა და მაღალი დენადობის გამო სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სრულად არ მიეწოდება პირველადი ჯანდაცვით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურება. ამჟამად მოქმედი ,,სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ექიმების შრომის ანაზღაურება არ არის საკმარისი. რაც მათი მაღალი დენადობის ძირითადი მიზეზია. ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის ექიმები. დაფინანსება განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ქვეპროგრამაში სამედიცინო პერსონალის ჩართვა განხორციელდება მუნიციპალიტეტების გამგებლების მომართვის საფუძველზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექიმების ხელფასის დანამატი	43	300	154 800
ქობულეთისა და ხელვაჩაურის სოფლის ექიმების ხელფასის დანამატი	64	150	115 200
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			270 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ხელფასის დანამატი	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურეობის უზრუნველყოფა; სოფლის ექიმების ადგილზე დამაგრება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული (რაოდენობა)	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სოფლის ექიმების ადგილზე დამაგრება, სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი ბაზისური, ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდება.	სოფლის ექიმების ადგილზე დამაგრება	მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებში სოფლის ექიმის რაოდენობა – 43 ქობულეთის და ხელვაჩაურის სოფლის ექიმები– 64	მუნიციპალიტეტის გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაცია დასაქმებული სოფლის ექიმების შესახებ	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	მუნიციპალიტეტის გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაციისა და სოფლის ექიმების მიერ ჩატარებული მუშაობის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს.